თარიღი: 19 აგვისტო - 4 სექტემბერი

ორგანიზატორები: Forum Alpbach Network, 30 independent Alpbach Clubs in different countries

პროექტის აღწერა: ალპბახის ევროპული ფორუმი არის მეცნიერების, პოლიტიკის, ბიზნესისა და კულტურის სფეროებში ინტერდისციპლინარული პროგრამა, ცნობილი როგორც „იდეების ფესტივალი.” ფორუმი ინტენსიურ სემინარების, ვორქშოფებისა და სიმპოზიუმების ფორმატით ეხმიანება ჩვენი დროის შესაბამის სოციალურ-პოლიტიკურ თუ ინოვაციურ-ტექნოლოგირ განოწვევებს. პროექტის მიზანია ერთმანეთს დააკავშიროს ყველა სექტორში მოღვაწე გადაწყვეტილების მიმღები საზოგადოების წევრები დაინტერესებულ აუდიტორიასთან და მოტივირებულ ახალგაზრდებთან.

პროექტი ყოველწლიურად 17 დღის განმავლობაში ტარდება ავსტრიის ულამაზეს სამხრეთ ტიროლის მხარეში.

European Forum Alpbach სრულად აგებულია ევროპული ღირებულებების პოპულარიზების მოდელზე და ითვალისწინებს სოციო-პოლიტიკური პრობლემებისა და საზოგადოების უახლესი ტექნოლოგიური გამოწვევების წარმოჩენას და მათ გადაჭრაზე ერთიანი დიალოგის პლატფორმის შექმნას.

European Forum Alpbach-ის გამორჩეული კომპონენტებია:

- ➔ ყოვლისმომცველი სემინარები და სიმპოზიუმები მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტის პროფსორების ხელმძღვანელობით
- ➔ საერთაშორისო ორგანიზაციები და ბიზნეს კომპანიების მიერ ინიცირებული გამოფენები და ვოქრშოფები
- ➔ პროგრესულად მოაზროვნე და სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე გამოცდილი მონაწილეები
- ➔ ავსტრიის ალპების შესანიშნავი გარემო და ატმოსფერო განტვირთვისთვის

მიზნობრივი აუდიტორია: 1945 წლიდან, ყოველწლიურად 5000-ზე მეტი მონაწილე მსოფლიოს 90-ზე მეტი ქვეყნიდან.

European Forum Alpbach-ის წარმომადგენლობა საქართველოში - Club Alpbach Georgia